საიდ. N80543/03

IR 1232010

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N29-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე, ი. გიქორაშვილი, ს. ებრალიძე, თ. კევლიშვილის მდივნობით განიხილა კომპანიის „C4IP აიპი ჰოლდინგ 1 ს.ა.“ (C4IP IP Holding 1 S.A) N29-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 7 დეკემბრის N3552/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის „LUXAVIATION“ (საიდ. N80543/03, IR

1232010) დაცვის მინიჭება მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (35-ე, 36-ე, 37-ე, 39-ე, 41-ე, 43-ე და 45-ე კლასები).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 7 დეკემბრის N3552/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს, „LUXAVIATION“ (საიდ. N80543/03, IR 1232010) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე, რადგან „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანხმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც: გ) არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ; დ) აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად“. განცხადებული სასაქონლო ნიშანი სიტყვიერია და შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასოებით. ნიშნის დაცვა მოითხოვება 35-ე, 36-ე, 37-ე, 39-ე, 41-ე, 43-ე და 45-ე კლასების მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ. განცხადებული სასაქონლო ნიშანი აღწერილობითია შესაბამისი მომსახურეობის მიმართ, რადგან შედგება მომსახურების მხოლოდ ხარისხის და სახეობის მახასიათებლებისგან. მიუხედავად იმისა, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი ერთი სიტყვისგან შედგება, მასში

აშკარად იკვეთება ორი სხვადასხვა სიტყვის კომბინაცია, სიტყვიერი ელემენტი - „LUX“, სიტყვების Luxury, Luxe (ქართული თარგმანი: ფუფუნება, სიმდიდრე) შემოკლებას წარმოადგენს და მიუთითებს მომსახურების აღმატებით ხარისხზე და სიტყვიერი ელემენტი „AVIATION“ (ქართულ ენაზე - ავიაცია), რაც პირდაპირ აღწერს განცხადებული მომსახურების მახასიათებელს. ზემოაღნიშნული ორი სიტყვის კომბინაცია მიანიშნებს კონკრეტული ავიაკომპანიის მიერ გაწეული მომსახურების და ავიაგადაზიდვებთან დაკავშირებული სხვა მომსახურებების გამორჩეულ ხარისხზე. ასევე, განცხადებული სასაქონლო ნიშანი შესაძლოა გაგებულ იქნას, როგორც „ლუქსემბურგის ავიაცია“ (Lux - Luxembourg), რაც „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღწერილობითია შესაბამისი მომსახურების მიმართ, რადგან შედგება მხოლოდ გეოგრაფიული წარმოშობის და მომსახურების სახეობის მახასიათებლებისგან. განცხადებულ სასაქონლო ნიშანს არ გააჩნია დამატებითი ელემენტი, რომელიც მიანიჭებდა მას ინდივიდუალურობას. აღნიშნულის გამო, განცხადებულ ნიშანს „LUXAVIATION“ (საიდ. N80543/03, IR 1232010) „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

აპელანტი, კომპანია „C4IP აიპი ჰოლდინგ 1 ს.ა.“ (C4IP IP Holding 1 S.A) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას და განმარტავს, რომ თუ დავეთანხმებით ექსპერტის არგუმენტს, რომ სიტყვიერი ელემენტი - „LUX“, სიტყვების Luxury, Luxe (ქართული თარგმანი: ფუფუნება, სიმდიდრე) შემოკლებას წარმოადგენს და მიუთითებს მომსახურების აღმატებით ხარისხზე, ასეთ შემთხვევაში, საინტერესოა საქპატენტის პრაქტიკა ისეთ სასაქონლო ნიშნებთან მიმართებით, რომელიც შეიცავს სიტყვიერ ნაწილს „LUX“. მაგალითად სასაქოლო ნიშნები: „LUX“ (რეგ. N23455; რეგ.თარიღი 13.03.2013; მე-3 კლასის საქონლისათვის), „LUX“ (IR 814310; რეგ თარიღი: 09.09.2003; მე-3 კლასის საქონლისათვის), „LUX“ (რეგ. N22533; რეგ. თარიღი 30.04.2012; 34-ე კლასის საქონლისათვის). აპელანტისთვის გაუგებარია, თუ რატომ

მოხდა აღნიშნული ნიშნების რეგისტრაცია საქპატენტში და განცხადებულ სასაქონლო ნიშანს კი უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე. აპელანტის განმარტებით განცხადებული ნიშნის მიმართ ექსპერტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტი არასამართლიანია, რადგან დაუშვებელია, რომ ერთ შემთხვევაში სიტყვიერი ნაწილი „LUX“ ჩაითვალოს არააღწერილობითად და ნიშანი დარეგისტრირდეს, ხოლო მეორე შემთხვევაში იგივე სიტყვიერი ნაწილი ჩაითვალოს აღწერილობითად და ნიშანს უარი ეთქვას დაცვის მინიჭებაზე. საქპატენტის პრაქტიკის თანახმად, სიტყვიერი ნაწილი „LUX“ არ წარმოადგენს საქონლის ხარსხის და სახეობის აღმნიშვნელ სიტყვას და მიიჩნევა ფანტაზიურად. ლექსიკონური განმარტების მიხედვით „LUX“ წარმოადგენს განათების საზომ ერთეულს და მას სხვა მნიშვნელობა, განსაკუთრებით კი აღწერილობითი ხასიათის, არ აქვს.

აპელანტი ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, რომ შესაძლოა განცხადებული სასაქონლო ნიშანი გაგებული იქნას, როგორც „ლუქსემბურგის ავიაცია“. თუმცა, მისთვის გაუგებარია თუ რატომ მოხდა სასაქონლო ნიშნის „TURKISH AIRLINES“ (IR 913444; რეგ. თარიღი 03.04.2006) დაცვა საქართველოში, ხოლო განცხადებულ ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე. „TURKISH AIRLINES“ პირდაპირ მიანიშნებს მომსახურების გეოგრაფიულ წარმოშობასა და სახეობაზე.

აპელანტის განმარტებით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებაში, არაბთა გაერთიანებული საამიროში და აშშ-ს საპატენტო უწყებაში.

აპელანტის განმარტებით, ექსპერტის დასკვნა უსაფუძვლოა, ვინაიდან, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე–4 მუხლის, მე–3 პუნქტის თანახმად, „საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევებში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 7 დეკემბრის N3552/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის „LUXAVIATION“ (საიდ. N80543/03, IR 1232010) დაცვის მინიჭებას მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (35-ე, 36-ე, 37-ე, 39-ე, 41-ე, 43-ე და 45-ე კლასები).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №29-03/16) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც: გ) არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ; დ) აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ან/და მიჩნეულია ასეთად“.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი სიტყვიერია და შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასოებით. მიუხედავად იმისა, რომ ნიშანი შედგება ერთი სიტყვიერი ელემენტისაგან, მასში იკვეთება ორი სხვადასხვა სიტყვის გაერთიანება - „LUX“ და „AVIATION“. „LUX“ მიანიშნებს მომსახურების ხარისხზე და წარმოადგენს განცხადებული მომსახურების მაღალი ხარისხის აღმნიშვნელ სიტყვიერ ელემენტს. ხოლო „AVIATION“ ქართულად ითარგმნება, როგორც ავიაცია. ორივე სიტყვიერი ელემენტის ერთობლიობა აღწერს განცხადებული მომსახურების ხარისხსა და სახეობას. განცხადებული სასაქონლო ნიშანი „LUXAVIATION“ (საიდ. N80543/03, IR

1232010) სიტყვიერია და არ შეიცავს რაიმე დამატებით ელემენტს, რომელიც ნიშანს მიანიჭებდა განმასხვავებელუნარიანობას.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „LUXAVIATION“ (საიდ. N80543/03, IR 1232010) ასევე, შეიძლება გაგებული იქნეს, როგორც „ლუქსემბურგის ავიაცია“. განცხადებულ ნიშნაში სიტყვიერი ელემენტი „LUX“ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც „Luxembourg“. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც აღწერილობითია შესაბამისი მომსახურების მიმართ, რადგან შედგება საქონლის მხოლოდ გეოგრაფიული წარმოშობის და მომსახურების სახეობის მახასიათებლებისგან. აპელანტის მიერ წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდება, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი გამოიყენება საქართველოს ტერიტორიაზე იმ ფორმით, რომ ნიშანს მოეპოვებინა განმასხვავებელუნარიანობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული, საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „LUXAVIATION“ (საიდ. N80543/03, IR 1232010) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „C4IP აიპი ჰოლდინგ 1 ს.ა.“ (C4IP IP Holding 1 S.A) სააპელაციო საჩივარი (N29-03/16) არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 7 დეკემბრის N3552/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: ი. გიქორაშვილი

ს. ებრალიძე